პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
10
იანვარი
№ 8
(16134)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

სოფლის მშრომელთა ეროვნული ფერმერული ვალდებულებანი

გეჯითი შრომით უპასუხეგენ პარტიის მოწოდებას

საქართველოს სოფლის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. ამ უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა დოკუმენტმა გამოიწვია კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების დიდი კმაყოფილება, მისწრაფება იმუშაონ უფრო ნაყოფიერად, მტკიცედ იბრძოლონ მარცვლეულის, ჩაის, უურძნის, ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულის უხვი მოსავლისათვის, ხორცის, რძის, კვერცხის, სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამართულ ხალხმრავალ მიტინგებსა და კრებებზე მიწათმოქმედნი და მეცხოველენი იჩენენ პატრიოტულ ინიციატივას, მოუწოდებენ, რომ გაიშალოს მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება 1975 წლის და მთელი ხუთწლედის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. რაიონებიდან მოდის ცნობები, რომ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, რგოლები, ბრიგადები, მეურნეობები კისრულობენ მაღალ სოციალისტურ ვალდებულებებს. მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არ გატეხონ სიტყვა, სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტები, გადადგან ახალი დიდი ნაბიჯი სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გზაზე.

უხვი მოსავალი ყველა ფართობზე

ზუგდიდი. ინგირის ლენინის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეები ცხოვლად გამოეხმაურნენ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის მგზნებარე სიტყვებს. ამ მეურნეობის კოლექტივი პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავი სრულიად საკავშირო შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორია. იგი წლითიწლობით გადაჭარბებით ასრულებს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და დამზადების გეგმებსა და ვალდებულებებს. გასულ წელს მან დამზადა 3.829 ტონა ფოთოლი — დაგეგმილზე 369 ტონით მეტი. ჩაის ფოთლის დამზადების ხუთწლიანი დავალება მეჩაიეებმა გაანაღდეს 1974 წლის 24 ივლისს და მიმინვე იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულება.

წარმატებათა მიღწევაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბრიგადამ, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. მეფუხარგია ხელმძღვანელობს. შარშან ბრიგადამ სამშობლოს მისცა 409 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 363 ტონისა. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 8.527 კილოგრამი ჩაის ფოთოლი — 1.019 კილოგრამით მეტი, გადრე საბჭოთა მეურნეობაშია მიღებული.

უპასუხებენ რა პარტიის ზრუნვას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეები იბრძვიან, რათა გამოიყენონ წარმოების ყველა რეზერვი, უკეთ ამუშაონ ტექნიკა, ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მიიღონ უხვი მოსავალი ყველა ფართობზე.

შეჯიბრებას ტონს აძლევს ვ. მეუნარგიას ბრიგადა. ბრიგადის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს წელს მოკრეფონ 415 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, დაგეგმილზე 45 ტონით მეტი; პირველხარისხოვანი ნედლეულის გამოსავლიანობა გაზარდონ 65 პროცენტამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55 პროცენტისა. საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფონ 9 ათასი კილოგრამი ფოთოლი, ბრიგადამ ვალდებულება იკისრა გულდასმით მოუაროს ტექნიკას, დაზოგოს მისი რემონტისათვის გამოყოფილი სახსრების 30 პროცენტი, საწვავის 20 პროცენტი.

მეტი მარცვლეული, ხილი...

ბორი. სოფლის მშრომელთა ამოცანები ხუთწლედის დამამთავრებელ წელს განსაზღვრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ. ზუსტად არის ჩამოყალიბებული ისინი პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, აღნიშნავენ რა იმას, ბორის რაიონის სოფელ ტყვიავის კოლმეურნეებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ სრულყოფდნენ თვითკეთილი მიწათმოქმედისა და მეცხოველის ოსტატობას, უფრო ეფექტიანად იყენებდნენ ტექნიკას, შეასრულონ სახელმწიფო გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

— ეხუთვალედ ვიწონებთ რა მიმართვას, პირობას ვიღებთ მოვიპოვოთ ახალი დიდი წარმატებანი მარცვლეულის, ხილის, შაქრის ჭარხლის, სხვა პროდუქტების წარმოებაში.

ბრიგადირი თ. ხაბაზიშვილის ეს სიტყვები დადასტურებულია მაღალი სოციალისტური ვალდებულებით, რომლებიც ბრიგადამ იკისრა კოლმეურნეთა კრებაზე.

შარშან ბრიგადამ ჰექტარზე მოიწია 102 ცენტნერი ხილი. სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა მან შეასრულა ოთხ წელიწადში. გასულ წელს ბრიგადამ ცენტნერი ხილის წარმოების თვითღირებულება შეამცირა 15 მანეთამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 მანეთისა და 70 კაპიკისა, მან ვალდადე შეასრულა შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, დამზადების ხუთწლიანი გეგმებიც.

პარტიის მოწოდების პასუხად ბრიგადამ ვალდებულება იკისრა წელს ჰექტარზე მოიწიოს 120 ცენტნერი ხილი, გეგმასთან შედარებით სამი მანეთითა და 10 კაპიკით შეამციროს ცენტნერი ხილის წარმოების თვითღირებულება, ბოსტნეულის სამუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გაზარდოს 250 ცენტნერამდე, რაც 118 ცენტნერით აღემატება დავალებას, ჰექტარზე მიიღოს 650 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. გადიდებული ვალდებულებანი იკისრა ბრიგადამ მარცვლეულის წარმოებაშიც. ბრიგადამ გადაწყვიტა საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 30 ცენტნერი მარცვლეული.

(საქინფორმი).

— შეჯიბრების მოწინავენი —

ავანგარდში

ბური გაგარინის სახელობის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ვერა ქემაშვილი უდგას სათავეში, კარგად არის ცნობილი ფხოლისის კამვოლმაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში". ეს ერთსულოვანი კოლექტივი მუშაობს გრაფიკის გასწრებით და ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგას.

ამ ბრიგადაში მუშაობს მრთველი ნარგული [illegible]ძე. იგი აქ მოვიდა შვიდი წლის წინათ, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ და მალე დაწინაურდა წარმოების მოწინავე მუშაკთა შორის. მას შემდეგ იგი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებებს.

თავდადებული შრომისათვის მრთველი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. ახლა იგი 1975 წლის მაისის ანგარიშში მუშაობს.

სურათზე: მოწინავე მჭოველი ნარგული ჩხაიძე.

შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით

შარშან დამკვრელური შრომის მაგალითი აჩვენეს კიროველმა ჩარხმშენებლებმა, გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს 928 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია. ახალი წლის გადიდებული პროგრამის შესრულებას რომ შეუდგნენ, გადაწყვიტეს კიდევ უფრო გააძლიერონ შრომის ტემპი და იკისრეს ახალი ვალდებულებები.

ვალდებულებათა ოქმში ჩაწერილია: 1975 წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 100 ათასი მანეთის პროდუქცია, პროდუქციის რეალიზაციის შემხვედრი გეგმა შეასრულონ 28 ეკემბრისათვის და შემხვედრი გეგმის ზვითი მოახდინონ 100 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია; პროდუქციის გამოშვების მატების 80 პროცენტს მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით, მოგების გეგმას გადააჭარბონ 100 ათასი მანეთით;

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

□

დაზოგონ 100 ტონა ლითონი, 600 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 130 ტონა პირობითი სათბობი, აითვისონ და დანერგონ 12 ახალი მოდელის მაღალი წარმადობის ჩარხები;

რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელებით მიიღონ 300 ათასი მანეთი წლიური პირობითი ეკონომია; 250 კაცამდე გაადიდონ „პირადი დაწლის" მომუშავეთა რიგები, კადრების დენადობა შარშანდელთან შედარებით შეამცირონ 20 პროცენტით, წლის განმავლობაში აითვისონ და დანერგონ 40 დასახელების პლასტმასის დეტალები, საექსპლოატაციოდ გადასცენ 96-მანიანი საცხოვრებელი სახლი.

ეს ვალდებულებები განხილული და მიღებულია საწარმოს მშრომელთა საერთო კრებაზე.

ნაყოფიერების მაგისტრალი

მეოთხე ორდენი ვოლგოგრადის ქარხნის დროშაზე

ვოლგოგრადი. (საკუთარი). ტრაქტორებით ქვეყნის სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის დავალებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის, სამაბულო ტრაქტორშენებლობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის და მემილიონე ტრაქტორის გამოშვებასთან დაკავშირებით ვოლგოგრადის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სატრაქტორო ქარხანა დაჯილდოდა ლენინის ორდენით.

8 იანვარს გაიმართა საზეიმო კრება, მიძღვნილი სატრაქტორო ქარხნისათვის მთავრობის ჯილდოს გადაცემისადმი. კრება გახსნა ქარხნის პარტკომის მდივანმა ვ. მ. სოროკოუმოვმა.

დამსწრეთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს თ. დ. კულაკოვს, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

ნაყოფიერების მაგისტრალი

მმრ-ბაშირი, აზერბაიჯანის სსრ (საკუთარი კორ.). აზერბაიჯანის ყარაბაღის ველის ათასობით ჰექტარამ ბამბის პლანტაციამ და ვენახმა მიიღო წყალი მარჯვენა ნაპირის მაგისტრალური არხიდან, რომელიც შედის მდინარე ტერტერჩაიზე მშენებარე ჰიდროტექნიკურ კომპლექსში.

კომპლექსის მშენებლები ახლა სწრაფად აგებენ სარსანგის ჰიდროკვანძის მიწის კაშხალს, რომელიც ერთ-ერთი უმაღლესი იქნება ევროპაში. გადახიდავს რა მდინარეს, იგი შექმნის 500 მილიონი კუბური მეტრი ტევადობის წყალსაცავს.

ტერტერჩაის ჰიდროტექნიკური კომპლექსის აგების შემდეგ მოიოროწყვება 130 ათას ჰექტარზე მეტი გვალვიანი მიწა აზერბაიჯანის ველის რაიონებში.

ტრაქტორმშენებლობის ფლაგმანი

მეოთხე ორდენი ვოლგოგრადის ქარხნის დროშაზე

ვოლგოგრადი. (საკუთარი). ტრაქტორებით ქვეყნის სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის დავალებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის, სამაბულო ტრაქტორშენებლობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის და მემილიონე ტრაქტორის გამოშვებასთან დაკავშირებით ვოლგოგრადის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სატრაქტორო ქარხანა დაჯილდოდა ლენინის ორდენით.

8 იანვარს გაიმართა საზეიმო კრება, მიძღვნილი სატრაქტორო ქარხნისათვის მთავრობის ჯილდოს გადაცემისადმი. კრება გახსნა ქარხნის პარტკომის მდივანმა ვ. მ. სოროკოუმოვმა.

დამსწრეთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს თ. დ. კულაკოვს, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა 42-ე ტომი

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ მომზადებული კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემის 42-ე (დამატებითი) ტომი. ტომში შესულია ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია 1844 წლის იანვრიდან 1848 წლის თებერვლამდე.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა თხზულებებში პირველად იბეჭდება დიდი ნაშრომი „1844 წლის ეკონომიურ-ფილოსოფიური ხელნაწერები", რომელშიც მარქსი ფართოდ აკრიტიკებს ინგლისის ბურჟუაზიულ კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას და ჰეგელის ფილოსოფიას. მარქსის ეკონომიური კვლევის დასაწყისს ეკუთვნის აგრეთვე კონსპექტი ვ. მილის წიგნისა „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები" თვით მარქსის ერცელი კომენტარებით და მარქსის სტატიის მონახაზი ბურჟუაზიულ პროტექციონიზმზე. ტომში შესულია მარქსის „ფოიერბახის შესახებ თეზისების" ვარიანტები, ახლახან აღმოჩენილი „გერმანული იდეოლოგიის" ფრაგმენტები, ენგელსის მიერ დაწერილი „კომუნისტური რწმენის სიმბოლოს პროექტი" — კომუნისტთა კავშირის პროგრამაული დოკუმენტი, აგრეთვე მარქსისა და ენგელსის მთელი რიგი პუბლიცისტური სტატიები.

42-ე ტომში რუსულ ენაზე პირველად იბეჭდება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის 22 ნაწარმოები.

სათუთად მოვეკიდოთ გუნების სიმდიდრეებს

8 იანვარს მოსკოვში დამთავრდა სოფლის მეურნეობის მუშაკთა და მეცნიერთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელმაც შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში ბუნებრივი გარემოს გაჯუჯყიანების თავიდან აცილების ღონისძიებანი.

ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნების დაცვის კათედრის გამგე პროფესორი ვ. ა. პოპოვი საკადესის კორესპონდენტის პ. როგოზინსკის თხოვნით განმარტავს განხილულ პრობლემას.

— პარტიისა და მთავრობის 1972 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებით ბუნების დაცვის საკითხეს „დაუწყდა" სახელმწიფო კონტროლი, — თქვა მეცნიერმა. — სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, ადმინისტრაციისა და უწყებების წინაშე დასახულია გარემოს დაცვის კონკრეტული ამოცანები. მას შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა.

გაცილებით უფრო სუფთა გახდა ვოლგა და უფრო წყალუხვი — დესნა. ადარ არის ბაიკალის წყლების გაჯუჯყიანების საფრთხე. ჭვეყნის ევროპულ ნაწილში ახლა უფრო მეტ ტყეს ვაშენებთ, ვიდრე ვჩეხავთ. აღდგენილია მრავალ სახეობათა გარეული ცხოველების რიცხვი.

თათბირმა საჭიროდ ცნო უფრო ფართოდ დაენერგოთ მინდვრების მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მრავალფეროვანი აგროტექნიკური სელექციური და ბიოლოგიური მეთოდები, არ დაეყრდნოთ მხოლოდ ქიმიას, თუმცა ბევრ შემთხვევაში უმისოდ ვერაფერს გავხდებით. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საჭიროა გაეაუმჯობესოთ მინერალური სასუქებისა და მხამქიმიკატების შენახვა, ავამაღლოთ პასუხისმგებლობა მათი გამოყენებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეცხოველეობის კომპლექსებისა და ფერმების მიერ ბუნებრივი გარემოს გაჯუჯყიანების თავიდან აცილებას. იშვიათი როდია უახლოეს წყალსატევებში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემთხვევები. უშვებენ ორ უსაშეცდომას: მინდვრებს აკლდებათ უძვირფასესი სასუქები, წყალსატევები კი ჭუჭყიანდება.

თათბირმა მიიღო რეკომენდაციები, რომლებშიც გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში გარემოს გაჯუჯყიანების თავიდან აცილების ღონისძიებანი. მათი შესრულება მოითხოვს ყოველმხრივ და მუდმივ კონტროლს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

პურისმიმღებ საწარმოთა ტექნიკური ბაზის განვითარების დაჩქარების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „პურისმიმღებ საწარმოთა ტექნიკური ბაზის განვითარების დაჩქარების შესახებ".

დადგენილებაში აღნიშნულია: იმის შედეგად, რომ პურისმიმღებ საწარმოთა ტექნიკური ბაზის განვითარება და მარცვალსაცავთა მშენებლობა ჩამორჩება პურეულის დამზადების ზრდას, სახელმწიფო რესურსების დიდძალი მარცვლეული დიდხანს რჩება ბურტებად.

მარცვლეულის შენახვის უზრუნველყოფის მიზნით, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონული კომიტეტების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხარეო აღმასკომების, საოლქო აღმასკომებისა და რაიაღმასკომების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა იყოს პურისმიმღებ საწარმოთა ტექნიკური ბაზის განვითარება და მარცვალსაცავების მშენებლობა მარცვლეულის შესანახად და დასაცავად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის საერთაშორისო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, მოსკოვის საოლქო აღმასკომთან არსებულ მთავარმოსკოვოლქმშენს და მოსკოვის საოლქო აღმასკომთან არსებულ მთავარმოსკოვმრეწმშენს უზრუნველყონ, რომ 1976-1980 წლებში პურისმიმღებ საწარმოებში საექსპლოატაციოდ გადაეცეს 40 მილიონი ტონა ტევადობის მარცვალსაცავები, მათ შორის ელევატორები — 34 მილიონი ტონისათვის და ლითონის სილოსები — 6 მილიონი ტონისათვის. პურისმიმღებ საწარმოთა ტექნიკური ბაზის განვითარებისა და მარცვალსაცავთა მშენებლობისათვის სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს 1976-1980 წლებში გამოყოფილი აქვს 3,5 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის — 2,5 მილიარდი მანეთი.

სამშენებლო სამუშაოთა მოცულობის შესასრულებლად სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს უფლება ეძლევა შექმნას 1975-1977 წლებში ზოგიერთ მეტარეგლები ელევატორებისა და პურის მიმღები საწარმოების მშენებლობისათვის.

სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს უფლება ენიჭებათ შექმნან მორიგი მექანიზებული კოლონები მარცვალსაცავთა მშენებლობისათვის.

სსრ კავშირის სახმომარაგებას დაეკალა დაკომპლექტოს მოძრავი მექანიზებული კოლონები საპირო ავტოსატრანსპორტო სამუალებებით, სამშენებლო მანქანებითა და მექანიზმებით და სხვა ტექნიკური საშუალებებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ტექნიკური ღონისძიების ტაბელის შესაბამისად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, მოსკოვის საოლქო აღმასკომთან არსებულ მთავარმოსკოვოლქმშენს და მოსკოვის საოლქო აღმასკომთან არსებულ მთავარმოსკოვმრეწმშენს უზრუნველყონ, რომ 1976-1980 წლებში პურისმიმღებ საწარმოებში საექსპლოატაციოდ გადაეცეს 40 მილიონი ტონა ტევადობის მარცვალსაცავები, მათ შორის ელევატორები — 34 მილიონი ტონისათვის და ლითონის სილოსები — 6 მილიონი ტონისათვის. პურისმიმღებ საწარმოთა ტექნიკური ბაზის განვითარებისა და მარცვალსაცავთა მშენებლობისათვის სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს 1976-1980 წლებში გამოყოფილი აქვს 3,5 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის — 2,5 მილიარდი მანეთი.

სამშენებლო სამუშაოთა მოცულობის შესასრულებლად სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს უფლება ეძლევა შექმნას 1975-1977 წლებში ზოგიერთ მეტარეგლები ელევატორებისა და პურის მიმღები საწარმოების მშენებლობისათვის.

სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ეკალა დაკომპლექტონ 1976-1980 წლებში წინაქვეს-ელევატორების მოწყობილობის მოქმედ მანქანათსაშენებელი საწარმოთა რეკონსტრუქცია და გაფართოება და ააშენონ ახალი საწარმოები, აამოქმედონ საწარმოო სიმძლავრენი ამ საწარმოებში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან პირველ რიგში გამოყონ ადგილობრივი საშენი მასალები და ტრანსპორტი პურისმიმღებ საწარმოებში მარცვალსაცავების მშენებლობისათვის.

* * *

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები და მინისტრთა საბჭოები, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონული კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო აღმასკომები, საოლქო აღმასკომები და რაიონული აღმასკომები ყოველ ღონეს იხმარენ მარცვალსაცავების მშენებლობის დაწესებულ დავალებათა შესრულებისა და სახელმწიფო რესურსების მარცვლეულის შენახვისათვის.

სრულიად საკავშირო კომკავშირული კრება

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მამართვაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა საბჭოთაის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს იყვნენ უფროს თაობათა ღირსეული ცვლა, მათი გმირული საქმეებისა და ტრადიციების გამგრძელებელნი, შეიტანონ ღირსეული წვლილი ხუთწლედის ვადამდე შესრულებაში.

ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას, კომკავშირელებისა და მთელი ახალგაზრდობის დარაზმვას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც პლენუმზე წამოაყენა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ხელი უნდა შეუწყოს სრულიად საკავშირო კომკავშირულმა კრებამ „სამშობლოს, პარტიას — დამკვრელური შრომა, მუშაობის მაღალი ხარისხი, ფრიადზე სწავლა". კრება 1975 წლის 14-24 იანვარს გაიმართება.

რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში აქტიურად ემზადებიან მომავალი სრულიად საკავშირო კომკავშირული კრებისათვის. მაღალი შრომითი მაჩვენებლებით ეგებება მას თბილისის დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მრავალრიცხოვანი კომკავშირული კოლექტივი — „კომკავშირული ორწლედის" გეგმის შემუშავების ინიციატორი. საწარმოში წარმატებით შრომობს 21 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა. პატიოსანი ბრძოლა ეწოდა ბრიგადა ალიშვილ ალიევის, ბრიგადა ალ. ალიევის, ბრიგადა ალ. ალიევის, ბრიგადა ალ.

ხუთწლედი — ვადამდე, მაღალხარისხოვნად!

შემხვედრი გეგმის ნახევარი — დაზოგილი მასალით!

თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა შეხვედრი გეგმით გათვალისწინებული 400 ათასი მანეთის პროდუქციის ნახევარი დაზოგილი მასალით გამოუშვას

ეცხრე ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედად არის გამოცხადებული. წლეულს უკვე უნდა შეჯამდეს პროდუქციის ხარისხისათვის გონივრული შრომის შედეგები, უნდა გავაანალიზოთ ყოველივე ის, რასაც მივაღწიეთ და ისიც, რისი გაკეთებაც ვერ შევძელით. ერთი სიტყვით, 1975 წელი ხარისხისათვის ბრძოლის დამკვრელური წელიწადი უნდა იყოს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში პარტიისადმი, ხალხისადმი ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თანამედროვე ეტაპზე რაოდენობრივი მაჩვენებლების გვერდით პირველ კლანზე სულ უფრო მეტად დგება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ზრდის ხარისხობრივი მაჩვენებლები, ამასთან უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გამოშვებულ პროდუქციაზე სისტემატურად მცირდებოდეს მატერიალური დანახარჯები, პროდუქციის მთელი მატება უნდა მივიღოთ შრომის ნაყოფიერების გაზრდის გზით.

პარტიის ამ მოწოდებას გულდასმით რომ გაეცნო, თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა გამოვიდეს ინიციატივით და შემხვედრი გეგმითა და ნაკისრი ვალდებულებებით გათვალისწინებული პროდუქციის ნახევარი გამოუშვას დაზოგილი ნედლეულით და შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ამ ვალდებულების განხორციელებისათვის მკერავებმა წარმოების ყველა უბანზე დაიწესეს მტკიცე უოველდღიური კონტროლი. ვალდებულება განხილულია საწარმოს მშრომელთა აქტივის კრებაზე. ვხელმძღვანელობთ კრებაზე გამოსული ზოგიერთი მუშაკის სიტყვებს.

ბალალი წარმადობის ახალი ელექტროდანადგარების შესაქმნელად მუშაობს საბჭოთა კავშირის მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი. ინსტიტუტის შედეგების ლაბორატორიაში შექმნეს დანადგარი კოლექტორის გამტარების შედეგებისათვის. ეს მაღალი წარმადობის მანქანა აუმჯობესებს ქარხნის პროდუქციის ხარისხს. მისი გამოყენება მნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტს იძლევა. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის მრავალმა ელექტროტექნიკურმა საწარმომ განაცხადა სურვილი შეიძინოს თბილისელი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი დანადგარები. სურათზე: ახალი დანადგარის შემქმნელი კონსტრუქტორთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ამოტ როსტომიანი, ნელი გრიქუროვა, თამაზ ფესვიანიძე, იზოლდა ქარქუშაშვილი და თემის ხელმძღვანელი თეიმურაზ სანიკიძე.

ს. თევზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მხოლოდ პირადი დამღით

ოსკოვის მოწინავე საწარმოთა მაგალითისამაგრ შარშან ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა, პირველმა რესპუბლიკაში, ხუთწლედის დარჩენილი დრო ხარისხისათვის ბრძოლის პერიოდად გამოაცხადა. საწარმოს კოლექტივი პირობის გასანდღეგლად ერთსულოვნად დაირაზმა.

მთლიანად შეცვალეთ ტექნიკური კონტროლის აპარატის მუშაობა. პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა დავიწყეთ უშუალოდ კერვის პროცესიდან, ე. ი. ფაბრიკაში ვნერგავთ ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემას.

ფაბრიკაში შეიქმნა საზოგადოებრივი ბიურო, რომლის მოვალეობას შეადგენს შეისწავლოს მომხმარებლის წინადადებები და პრეტენზიები, ასევე ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის სავაჭრო ქსელში მოხვედრისა და რეალიზაციის საკითხი. დანერგილია ფაბრიკის წარმომადგენლების მორიგეობა სავაჭრო ქსელში.

თბილისის რამდენიმე მაღაზიასთან დადებული გვაქვს ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად რიტმულად ვაწვდით მათ ჩვენს პროდუქციას. ამ მაღაზიებშივე ხდება ახალ პროდუქციაზე მომხმარებლის მოთხოვნილების შესწავლა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად შარშან ჯერ კიდევ წლის პირველ ნახევარში მდგომარეობა ძირითადად გარდაიქმნა. გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, გეგმას ასრულებდა ყველა საამქრო და ბრიგადა. წლის პირველ ნახევარში ფაბრიკამ სახელმწიფო გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულა. ცხადია, ეს ყველაფერს არ ნიშნავდა. წლიური გეგმის შესრულებისათვის კიდევ დიდი ამოცანები იყო გადასაწყვეტი. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა კიდევ უფრო გავაძლიერეთ, მტკიცე კონტროლი დავიწესეთ მასალებისა და ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯებზე.

მონდომებულმა, მუყაითმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. შარშანდელი გეგმა და ვალდებულება დიდი გადაჭარბებით შეასრულეთ. პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 1.724 ათასი მანეთით გადაეჭარბეთ, საერთო პროდუქციის გამოშვების დავალებას 2.603 ათასი მანეთით. პროდუქციის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ეს მაჩვენებელი გეგმასთან შედარებით 3 პროცენტით გაიზარდა. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 140 ათასი მანეთით შეგამცირეთ.

პროდუქციის ასეთი კარგი რეალიზაცია განაპირობა იმან, რომ მასობრივად გამოვუშვით ახალი ფასონის პროდუქცია. ექვსი სახის ნაწარმს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა. ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ღირებულებამ სამ მილიონ მანეთს გადააჭარბა, რაც საერთოდ გამოშვებული პროდუქციის 8 პროცენტს შეადგენს. აქვე უნდა აღვნიშნოთ,რომ გეგმის გადამეტებით გამოშვებული პროდუქციის დიდი ნაწილი დაზოგილი მასალებით არის დამზადებული.

მიღწევებთან ერთად ფაბრიკაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი, კერძოდ, წუნდებული პროდუქციის გამოშხვეფები. მართალია, 1973 წელთან შედარებით რეკლამაციების რაოდენობა შემცირდა, ასევე განახევრდა გადახდილი ჯარიმების რაოდენობაც, მაგრამ წუნით გამოშვებული ზარალი კვლავ საგრძნობია, რისთვისაც ყველა ზომა უნდა მივიღოთო, რომ მინიმუმამდე შევამცეროთ არა საწარმოო ხარჯები. ნაყოფიერი შრომის სიკეთე ყველამ იგრძნო. შარშან პრემიების სახით მუშებზე გაცემულია 660 ათასი მანეთი.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის მზადება შარშან დავიწყეთ, წარმოება თითქმის მთლიანად გადავიყვანეთ ზამთრის ტანსაცმლის გამოშვებაზე. მიუხედავად გადიდებული გეგმისა, შევიმუშავეთ შემხვედრი გეგმაც, სადაც ჩაეწერეთ: დავალების გადამეტებით გამოვუშვათ 400 ათასი მანეთის პროდუქცია და ამით ჩვენი წელილი შევიტანოთ ხუთწლიანი გეგმის მთლიანად შესრულების საქმეში.

ახალი წლის პირველ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. ეს საპროგრამო დოკუმენტი გულდასმით გავაანალიზეთ საამქროებში, ცალკეულ ბრიგადებში. მოწინავე მუშებმა, მოდელიორ-კონსტრუქტორებმა, ჩამბაზველებმა და გამომჭრელებმა ბევრი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს. მუშათა დიდი უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებდა ყაირათიანად მუშაობაზე. მართლაც, პარტიის მოწოდებაში ყაირათსო�sაა: სოციალისტური მეურნეობრიობის დამახასიათებელი თვისებაა ეკონომია და მომჭირნეობა, მეტად საკირო, რომ გონივრულად, ყაირათიანად ვიყენებდეთ ჩვენს მატერიალურ, ფულად, ბუნებრივ რესურსებს, თვითეული მშრომელის სამუშაო დროს. ამს მივაღწევთ, თუ ქვეყნის მილიონობით მუშა, კოლმეურნე, სპეციალისტი, ყველა მშრომელი ნედლეულის, ელექტროენერგიისა და მასალების ეკონომიას ღვიძლ საქმედ მიიჩნევს. გამოშვებულ პროდუქციაზე მატერიალური დანახარჯების მხოლოდ ერთი პროცენტით შემცირება ახლა უფრის ეროვნული შემოსავლის თითქმის 4 მილიარდი მანეთით დამატებით გადიდებას. თვითეული საბჭოთა ადამიანის მოვალეობაა ბეჯითად იბრძოდეს უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, გაუფრთხილდეს სოციალისტურ საკუთრებას, ჩვენს საზოგადოებრივ სიმდიდრეს.

შემოსულ წინადადებებს, პარტიის მოწოდებაში გონივრულ რჩევას ღრმა ანალიზი გავუკეთეთ, გადავხედეთ გასული წლის შედეგებს, წლევანდელ გეგმას, გადასამუშავებელი ქსოვილების რაოდენობას, ჩამბაზველებთან, გამომჭრელებთან, ნოვატორ მუშებთან ვითათბირეთ, ვიანგარიშეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ **რაციონალური მეთოდების გამოყენებით შეგვიძლია გადასამუშავებელი ქსოვილების საერთო რაოდენობის ერთი პროცენტი დავზოგოთ.** მაგალითად, სპალტოვე ქსოვილები, რომლებიც წლის განმავლობაში უნდა გადავამუშაოთ, შეგვიძლია დავზოგოთ 2.500 გრძივი მეტრი, საიდანაც შეიძლება დავამზადოთ 1.200 პალტო. ყველა ქსოვილის ეკონომია რომ დავიანგარიშეთ, გამოვიდა, რომ დაზოგილი მასალით შეგვიძლია დავამზადოთ 200 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც ჩვენი შემხვედრი გეგმის ნახევარს ფარავს. ამავე დროს ისიც ვიანგარიშეთ, რომ პროდუქციის ეს მატება უნდა მივიღოთ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ერთი პროცენტით შრომის ნაყოფიერების გადიდება წარმოებას დამატებით მისცემს 400 ათასი მანეთის პროდუქციას, რაც მთლიანად უზრუნველყოფს გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

სიტყვა სამქროდ რომ ვაქციოთ, ამისათვის გადაეწყვიტეთ ყველა საამქროში, ბრიგადაში შეექმნათ კომისიები, რომლებიც გაუწევენ ყოველდღიურ კონტროლს როგორც გეგმის შესრულებას, ისე ნედლეულისა და მასალების ხარჯვას.

ვ. ბეგიძე,
თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი.

რაოდენობა, ხარისხი, ეკონომია

მომხმარებელი კმაყოფილი რომ იყოს...

ორი წლის წინათ ჩვენი ფაბრიკის მიერ გამოშვებულ ნაწარმს საგაჭრო ორგანიზაციებმა მთლიანად შეაქციეს ზურგი, საწარმო ძმიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდა. ძველ მუშებს, მოდელიორ-კონსტრუქტორებს ფაბრიკის ბედი ძალიან გვაწუხებდა, მაგრამ ერთიულების (და უშედეგო იყო, მდგომარეობა უარესდებოდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ადგილზე ყურადღებებიდან გამომდინარე ფაბრიკის სამეურნეო ხელმძღვანელობამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელი რიგი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებანი განახორციელეს და მდგომარეობა შეიცვალა. განახლდა პროდუქციის ასორტიმენტი, შეიქმნა ახალი თანამედროვე მოდელები, რომლებმაც მომხმარებელთა მოწონება დაიმსახურა.

პირადად მე შარშან დავამზადე სკოლის ასაკის ბიჭის სამი ფასონის კოსტიუმი და სამოვიმ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიიღო. ეს პროდუქცია შარშან 31 ათას ცალზე მეტი დავამზადეთ. მთელი პარტია ისე გაიყიდა, რომ რეკლამაცია არ მიგვიღია. ძალიან გამეხარდა, როცა ჩემი თვალით ვნახე, აღნიშნული ნაწარმი რიგით როგორ იყიდებოდა. მაშინ გავიფიქრე, რომ მუშაობა თურმე შეიგძლებია, ოღონდ მთავარია მონდომება, საქმის მეტი სიყვარული, პასუხისმგებლობა მონდობილი საქმისათვის.

მაგრამ მიღწეული დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. ფაბრიკაში ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჯერ კიდევ გამოდის ისეთი პროდუქცია, რომელზეც მომხმარებელთა მოთხოვნილება ნაკლებია. ახლა ვმუშაობ ახალი მოდელების შექმნაზე, რომელსაც ინვარში ხარისხის ნიშანზე წარვადგენ. მე მოვუწოდებ მოდელიორ-კონსტრუქტორებს უფრო გულმოდგინედ შევისწავლოთ მომხმარებლის მოთხოვნილება, ეკმაყოფილება და შევქმნათ ისეთი მოდელები, რომ მყიდველმა მადლობა გვითხრას.

ზ. ჯინჭარაძე,
მოდელიორ-კონსტრუქტორი.

ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი

დავეუფლოთ რამდენიმე პროფესიას

ფაბრიკაში სამუშაოდ რომ მოვედი, სრულიად ახალგაზრდა ვიყავი. გამოცდილი ოსტატების დახმარებით მალე დავეუფლე მკერავის ძნელ ფაქიზ საქმეს. კოლექტივის ისე შევეჩვიე, რომ აქედან წასვლაზე არასოდეს მიფიქრია. მთელი ენერგიით ვშრომობდი და ბუდამ მოწონებული მწყობრში ვიდექი, ჩემს ნახელავს წუნს ვერავინ სდებდა. საერთოდ, ფაბრიკაში დამზადებულ ნაწარმზე დიდი მოთხოვნილება იყო.

მომდინარე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მდგომარეობა გაუარესდა, თავი იჩინა მოშვებულობამ, უდისციპლინობამ, ცხადია, ამან თავისი უარყოფითი გავლენა იქონია პროდუქციის ხარისხზე. რასაც ვკერავდით საწყობში ეწყო, არავის არ მიჰქონდა. ხელფასსაც ვეღარ ვიღებდით თავის დროზე.

შარშან ჩვენი საწარმო მტკიცედ ჩადგა მოწინავეთა მწყობრში. მიღწეულმა წარმატებებმა გაგვიდინა და ახალი ინიციატივა წამოვწიეთ — ხუთწლედის დარჩენილი დრო ხარისხის გაუმჯობესების პერიოდად გამოვაცხადეთ. პირობა პირნათლად შევასრულეთ. პროდუქციის რეალიზაციის დავალება დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ, რაც პროდუქციის კარგ ხარისხზე მიგვანიშნებს.

ჩემს ბრიგადაში 30 მკერავია. დიდი უმრავლესობა ახალგაზრდები არიან. დღე ელენე და ლალი გაბოძეები, ლ. გოგაშვილი, ე. ყაზანჯიანი 5-6 ოპერაციას ფლობენ, ეს საშუალებას გვაძლევს ყოველთვის ვადავაჭარბოთ დღიურ დავალებას და რომელიმე მუშის სამუშაოზე გამოუცხადებლობის დროსაც კი შევასრულოთ გეგმა და შევინარჩუნოთ მაღალი ხარისხი.

პარტია მოგვიწოდებს, — უთუოდ შევასრულოთ ხუთწლიანი გეგმა. ამ მოწოდებას ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი ახალი ინიციატივით უპასუხებს.

ლ. გუგუშვილი,
მკერავთა ბრიგადის ხელმძღვანელი, ლენინის ორდენოსანი.

ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი

ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერით, უთქვამს ხალხს. ეს ბრძნული სიტყვები ყოველთვის უნდა ახსოვდეს ჩემი პროფესიის ადამიანს. ყოველთვის ვცდილობ რაც შეიძლება რაციონალურად განვაკლაგო თარგები ქსოვილზე და ისე ჩავხაზო, რომ არც ერთი გოჯი ქსოვილი არ დაიკარგოს. ნამდვილად ასჯერ უნდა გაზომ-აწონო და ხაზი მერე უნდა გაავლო, ამ ხაზზე ხომ მაკრატელი გაიელის და შეცდომას ვეღარ გამოასწორებ.

პირადად მე ხშირად დამმართნია ასეთი რამ: მთელ დღეს ვაკეთებ ჩანახაზს, და მგონია, რომ როგორც იქნა, მოვნახე ყველაზე უკეთესი ვარიანტი, მაგრამ მეორე დღეს იგივე ჩანახაზს უკვე სულ სხვა ვარიანტით, სხვა გზით, სრულიად ახლებურად აკეთებ ხოლმე. ასეთ დროს აუცილებლად რჩევას ვეკითხები კონსტრუქტორს და უკვე ერთად ვადგენთ საუკეთესო ვარიანტს. ამასთან ვათანხმებ შეიძლება თუ არა, ნაწარმის ამა თუ იმ დეტალის სხვა სიბრტყეში მოთავსება, ვიდრე კონსტრუქტორს აქვს ჩაფიქრებული, და თუ შეიძლება, მაშინ უკვე ხელთ მაქვს სრულიად ახალი ვარიანტი, რომელიც ერთეულ ნაწარმზე ზოგავს 2-3 სანტიმეტრ ქსოვილს.

ასეთი მეთოდით ჩემმა შრომამ ფაბრიკას შარშან დაუზოგა 500 გრძივი მეტრი ბამბის, 3.000 გრძივი მეტრი აბრეშუმის და 1000 გრძივი მეტრი ნეიტონის ქსოვილები. ახლა, როცა ფაბრიკის კოლექტივი ინიციატორია შეჯიბრებისა — მტკიცე კონტროლი — ყოველდღიური ბეგმის შესრულებას, შემხვედრი გეგმის ნახევარი შეგასრულოთ დაზოგილ მასალით, მე ვალდებულებას ვკისრულობ კიდევ უფრო მეტი სიზუსტითთ ვიშრომო და წლეულს ერთი ორად მეტი მასალები დავზოგო, ვიდრე შარშან. შეჯიბრებაში ვიწვევ ფაბრიკის ყველა ჩამბაზველს.

ნ. ხუციშვილი,
ექსპერიმენტალური საამქროს ჩამბაზველი.

ცხოვრების კარნახით

უმაღლესი სკოლა და წარმოება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ დირექტიულ გადაწყვეტილებათა უთუო და აუცილებელი განხორციელების საკითხს და ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისაგმი კონტროლისა და შემოწმების გაძლიერებას.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტიულ ღონისძიებათა განხორციელების გზაზე ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური თანამეგობრობის განმტკიცება უმაღლეს სკოლასა და წარმოებას შორის. ბოლო ხანებში ჩაისახა და სწრაფად იკიდებს ფეხს ასეთი შემოქმედებითი თანამეგობრობის ახალი პროგრესული ფორმები გრძელვადიან კომპლექსურ ხელშეკრულებათა დადების საფუძველზე, რაც ითვალისწინებს: უმაღლესი სკოლის კათედრების და წარმოების მუშაკთა მიერ მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების ერთობლივ დამუშავებას, მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგების წარმოებაში დანერგვას, საინჟინრო კადრების მიზნობრივ მომზადებას, წარმოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, უმაღლესი სკოლისადმი მატერიალურ-ტექნიკური დახმარების აღმოჩენას და სხვა საკითხებს.

შარშან გაზეთ „კომუნისტის“ 21 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ო. კიკნაძის წერილი სათაურით „დრო, ინჟინერი, საწარმო“, რომელიც დროულად ეხმაურება ელექტრომავალსაშენებელი ქარხნისთვის (თემქის) საინჟინრო კადრების მომზადების, მათი ხარისხის ამაღლებისა და ქარხანასა და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამეგობრობის საჭირბოროტო საკითხებს. ბევრ მათგანზე სპეციალის ტ ე ბ ს სხვადასხვა შეხედულება აქვთ და აზრთა გაზიარება, რა თქმა უნდა, საქმისათვის სასარგებლო იქნება. მაგრამ, ამასთან ერთად, წერილში არასწორად არის წარმოდგენილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტსა (სპი) და თემქ-ს შორის თანამეგობრობის ზოგიერთი საკითხი. მაგალითად, თქმა იმისა, რომ თითქოს თბილისის ელექტრომავალსაშენებელი ქარხნისთვის დღემდე არავის უზრუნია კადრების მომზადებისა და მეცნიერული თანამეგობრობის საქმეში და განსაკუთრებით იმისა, რომ თითქოს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს არ შეუძლია დახმარება გაუწიოს ქარხანას, არ შეეფერება სიმართლეს და ასეთი განცხადება სინამდვილის უხეში დამახინჯებაა.

თემქ-ს საინჟინრო კადრებს უმზადებს უმთავრესად სპი-სთან არსებული სატრანსპორტო ფაკულტეტი, რომელიც დაარსდა 1959 წელს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ბაზაზე. კადრების მომზადების საქმეს უშუალოდ ემსახურება ელექტრული ტრანსპორტის კათედრა, რომელსაც გარდაცვალებამდე (1974 წ.) სათავეში ედგა ელექტრული წევის დარგის გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. აბელიაშვილი.

მაღალკვალიფიციურმა მეცნიერ-პედაგოგთა შემადგენლობამ კათედრის არსებობის არც თუ ისე ხანგრძლივი დროის განმავლობაში (1954 წლიდან) დიდი სამსახური გაუწია ელექტრული ტრანსპორტის განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში. მომამზადა ათასი ოთხასამდე ახალგაზრდა სპეციალისტი, შექმნა სასწავლო-ლაბორატორიული ბაზა, თავის გარშემო შემოიკრიბა ცნობილი მეცნიერები, სპეციალისტები, წარმოების ხელმძღვანელი მუშაკები და დაამყარა მათთან მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი. მოამზადა მეცნიერული აზროვნება ტექნიკის ამ ახალ დარგში და მკვლევართა და პედაგოგთა რიგებს შემატა მეცნიერებათა ერთი დოქტორი და ოცდაათამდე კანდიდატი.

ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით, ჰქონდა რა მოძრავი შემადგენლობის სპეციალიზაციით ინჟინერების მომზადების დიდი გამოცდილება, 1959 წლიდან კათედრა შეუდგა კადრების მომზადებას ელექტრული წევისა და წევის მოწყობილობათა ავტომატიზაციის სპეციალობით. ამ კათედრის მიერ აღზრდილი სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული ძირითადი ქარხნის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, ელექტრული ტრანსპორტის საპროექტო, საშშენებლო და საექსპლოატაციო ორგანიზაციები.

კათედრა დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ხარისხის ამაღლებას. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ მიზნით სტუდენტები საწარმოო პრაქტიკის გასავლელად იგზავნებიან ჩვენი ქვეყნის მოწინავე ორგანიზაციებში. საწარმოო პრაქტიკის ერთ-ერთ ასეთ ძირითად ბაზას წარმადგენს თვითთემქ-ი. ამავე მიზანს ემსახურება მეცნიერების პრობლემური საკითხების გათვალისწინება სადიპლომო პროექტებში, მათი საჯარო დაცვა უშუალოდ წარმოებაში და სასელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეებად წარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა მოწვევა. სხვათა შორის, წელს სსკ-ის თავმჯდომარედ მოწვეული იყო თემქ-ის დირექტორი ამხ. ა. ბუაძე.

მშობლიურ ენაზე სადღესასწაულო გამოცემულია სამი სპეციალური სახელმძღვანელო.

მიმდინარე წელს ქარხანამ ზემდგომი ორგანოების წინაშე დააყენა საკითხი ელექტრული წევისა და წევის მოწყობილობათა ავტომატიზაციის სპეციალობით კადრების მომზადების გაფართოების ან აუცილებლობის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულთან ერთად კათედრამ პროფესორ ლ. აბელიაშვილის ხელმძღვანელობით დიდი ამაგი დასდო თბილისის ელექტრომავალსაშენებელ ქარხნის ბაზაზე თემქ-ის შშენებლობის საფუძვლების ჩაყრას. ინსტიტუტის სხვა კათედრებთან ერთად მეცნიერული გამოკვლევების, კვალიფიციური კონსულტაციებისა და წარმოებაში წაკითხული ლექციების სახით მან გარკვეული წვლილი შეიტანა ელექტრული ტრანსპორტისა და კერძოდ ელექტრომავალმშენებლობის კადრების მომზადება რესპუბლიკის ერთიანი სატრანსპორტო სისტემისათვის. ამიტომ, ტრანსპორტისათვის საინჟინრო კადრების მომზადების მძლავრი სასწავლო-სამეცნიერო ბაზის შესაქმნელად დროთა განმავლობაში შესაძლებლობისა და საჭიროების მიხედვით ახალ ინსტიტუტში თავი უნდა მოიყაროს ყველა სახეობის ტრანსპორტის — რკინიგზის, საავტომობილო, საავიაციო, სანაოსნო, მილსადენისა და სპბაგირო ტრანსპორტის სპეციალობებმა. ცხოვრება დღის წესრიგში აყენებს სამმოსკოვო ბაზების ფართო პროფილის ინჟინრების მომზადების აუცილებლობას და ასეთი კომპლექსური ინსტიტუტი ხელს შეუწყობდა ამ აზრის ხორცის შესხმას.

დიდი მნიშვნელობა ენენება იმას, თუ ვის დაევალება ასეთი კომპლექსური ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის პასუხისმგებლობა და სასწავლო-სამეცნიერო პროცესის მეთოდური ხელმძღვანელობა.

მოთხოვნების გაზრდასთან ერთად, ბუნებრივია, უნდა ვიზრუნოთ უმაღლესი სკოლის სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ასეთი პირობების გაუმჯობესებას დიდი ხანია მოელის. ფართობის სივიწროვის გამო იძულებულ მძიმე მდგომარეობაა შექმნილი, რომ შემოღებულია სამცვლიანი სწავლა. ამ გარემოებამ არ შეიძლება დადი არ დაასვას უმაღლესი სკოლის მუშაობის ყველა უანს და განსაკუთრებით სწავლების ხარისხს. გაფართოებასა და შეფსებას მოითხოვს სასწავლო-ლაბორატორიული ბაზა. ჯერ კიდევ მოუგვარებელია სტუდენტების საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე ყურადღება გაამახვილა ცოდნის შეფასების პრობლემის გადაწყვეტის, შეფასების კრიტერიუმების სრულყოფისა და სპეციალისტების მომზადების ხარისხის ამაღლების საკითხებზე. უმაღლესი სკოლისათვის ეს მეტად სერიოზული პრობლემეაა ოა აუცილებელია მათი მოკლე ვადაში მოგვარება, რატომ არ შეიძლებოდა, მაგალითად, დღესვე გადავსულიყავით ჩათვლებისა და გამოცდების მიღების კომისიურ წესზე, რაც უდავოდ ხელს შეუწყობდა ცოდნის ობიექტურ შეფასებას, პრეტექციონიზმსა და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლას.

საგაზეთო წერილში ძნელია უფრო ვრცლად და უფრო სრულად შეეჩერება ყველა საკითხზე, მით უმეტეს, რომ უმაღლესი სკოლის მუშაობაში მოსაგვარებელი პრობლემები გაცილებით მეტია, ვიდრე ეს აქ არის წარმოდგენილი. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამჯერად უფრო არსებითია, ვისაც ეს ეხება, მეტი ქმედითი ყურადღება დაუთმოს და პრაქტიკულად მეტი გაბედული ნაბიჯები გადადგას ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

ა. შალამბერიძე,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი,

ა. კონიაშვილი,
დეკანის მოადგილე, დოცენტი.

ტანკერ „თბილისის“ ნოგათი

ბათუმი. (საკ. კორ.) საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერებმა წარმატებით შეასრულეს ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა-ვალდებულებები. ერთ-ერთი მაგალითია ტანკერი „თბილისი“. ეკიპაჟმა გეგმა-ვალდებულებას გადამეტებით გადაჭიდა 5 ათასი ტონა ტვირთი და დაგეგმილი 70 ათასი მანეთის ნაცვლად სახელმწიფოს მისცა ასი ათას მანეთზე მეტი მოგება.

ზღვაოსნის დიდ ოსტატობას მოითხოვს ულოცმანოდ უცხოეთის სრუტეების გავლა. ტანკერი რამდენჯერმე შევიდა სრუტეებსა და ნავსადგურებში დაქირავებული უცხოელი ლოცმანის გარეშე, რითაც მნიშვნელოვანი თანხა დაზოგა.

„თბილისს“ ამჟამად კურსი ატლანტის ოკეანისაკენ აქვს აღებული, სადაც საბჭოთა შებადურებს ჩაუტანს საწვავს.

ყოველდღიური კონტროლი!

მკერავებმა აქტივის კრებაზე ეს ვალდებულებას რომ ვკისრულობთ დღეიდანვე წარმოების ყველა უბანზე დავაწესებთ მტკიცე კონტროლს ყოველდღიური გეგმების შესრულებასა და მასალების ხარჯვაზე, კიდევ უფრო ავამაღლებთ შრომითს დისციპლინას, გავზრდით პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის, მივაღწევთ იმას, რომ თვითეულმა ჩვენთაგანმა იშრომოს მხოლოდ „პირადი დამღით“.

მოვუწოდებთ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა და საერთოდ საქართველოს ყველა სამრეწველო საწარმოს კოლექტივებს მხარი დაუჭირონ ჩვენს ინიციატივას და გაშალონ შეჯიბრება დევიზით: „მტკიცე კონტროლი — ყოველდღიური გეგმის შესრულებას, შემხვედრი გეგმის ნახევარი უზრუნველვყოთ დაზოგილი მასალით“.

სოციალისტური მეურნეობრიობის დამახასიათებელი თვისებაა ეკონომია და მომჭირნეობა. მეტად საჭიროა, რომ ბოლოვრულად, ყაირათიანად ვიყენებდეთ ჩვენს მატერიალურ, ფულად, ბუნებრივ რესურსებს, თვითეული მშრომელის სამუშაო დროს. ამას მივაღწევთ, თუ ქვეყნის მილიონობით მუშა, კოლმეურნე, სპეციალისტი, ყველა მშრომელი ნედლეულის, ელექტროენერგიისა და მასალების ეკონომიას ღვიძლ საქმედ მიიჩნევს. გამოშვებულ პროდუქციაზე მატერიალური დანახარჯების მხოლოდ ერთი პროცენტით შემცირება ახლა უფრის ეროვნული შემოსავლის თითქმის 4 მილიარდი მანეთით დამატებით გადიდებას. თვითეული საბჭოთა ადამიანის მოვალეობაა ბეჯითად იბრძოდეს უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, გაუფრთხილდეს სოციალისტურ საკუთრებას, ჩვენს საზოგადოებრივ სიმდიდრეს.

შემდეგ ეტაპზე რაოდენობრივი მაჩვენებლების გვერდით პირველ კლანზე სულ უფრო მეტად დგება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ზრდის ხარისხობრივი მაჩვენებლები. ჩვენი დროის მტკიცე მოთხოვნაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მისი მიღწევების, შრომის ორგანიზაციის, წარმოებისა და მართვის მოწინავე მეთოდების დანერგვა, საწარმოთა გეგმაზომიერი რეკონსტრუქცია და ხელახალი ტექნიკური აღჭურვა, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის მასობრივი მოძრაობის განვითარება. ხარისხისათვის, ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლით განმსჯავლული უნდა იყოს ჩვენი საამოენობის ყველა მხარე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.

მსოფლიო დღეს

უემაშფოთეგელი კერსპექტივები

ლონდონი, 9 იანვარი. (საკდესის კორ.). ინგლისის პრესა ამ დღეებში სულ უფრო მეტი შეშფოთებით წერს ქვეყნის ეკონომიურ პრობლემებზე. გამოკვლევამ, რომელიც ბრიტანეთის მრეწველობის კონფედერაციამ მოაწყო, გამოავლინა, რომ ინგლისის მრეწველობის ბეკრ დარგში მკვეთრად მცირდება კაპიტალური დაბანდება. ამას, ხაზს უსვამენ სპეციალისტები, შეიძლება მოჰყვეს მეტად სერიოზული შედეგები ინგლისის მთელი ეკონომიკისათვის.

მაგრამ, როგორც ჩანს ბრიტანეთის მრეწველობის კონფედერაციის განცხადებიდან, მონოპოლიები კვლავ ეძებენ კრიზისიდან გამოსვლის გზებს მშრომელი მასების ცხოვრების დონეზე შემდგომი შეტევის საშუალებით. ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის ეკონომიურმა კომიტეტმა ამასთან დაკავშირებით გამოთქვა სერიოზული შიში და, კერძოდ, აღნიშნა, რომ ინგლისში მატულობს უმუშევრობის ზრდის ტემპი.

ახლა მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მრეწველობის სამშენებლო და საავტომობილო დარგებში. ეკონომიური კომიტეტის განსახილველად წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სამშენებლო მრეწველობაში უმუშევართა რიცხვი გაზაფხულისათვის შეიძლება გადიდდეს 120 ათასიდან 300 ათას კაცამდე. ინგლისის წარმოების ავტომობილების გასაღების შემცირებამ გამოიწვია ავტომობილმშენებელთა დათხოვნები ან მათი გადაყვანა შემცირებულ სამუშაო კვირაზე, რასაც შესაბამისად მოჰყვა ხელფასის შემცირება.

ინგლისის წამყვანი პროფკავშირები მოუწოდებენ მთავრობას ყოველი ღონე იხმაროს, რათა შეაჩეროს უმუშევართა არმიის ზრდა, რომელმაც უკვე 700 ათას კაცს მიაღწია. არაკვალიფიციური და მუხლიციანური მუშების ეროვნული პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა დ. ბასნეტმა განაცხადა, თუ მთავრობა არ განახორციელებს სასწრაფო ღონისძიებებს, უმუშევართა რიცხვმა ინგლისში წელს შეიძლება შეადგინოს სულ ცოტა 1 მილიონი.

უტევენ ლონ ნოლის ჯარებს

ბანგკოკი, 9 იანვარი. (საკდესი). კამბოჯის ეროვნული განთავისუფლების ძალებმა პნომპენის მიდამოებში გააფთრებული ბრძოლების დროს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს ლონ ნოლის ჯარებს. მარტო 1 და 2 იანვარს, სხვადასხვა ფრონტებზე, როგორც ქმერის საინფორმაციო საგენტო იუწყება, დაზოცეს, დაჭრეს და ტყვედ იგდეს პნომპენის არმიის 1000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

კამბოჯელი პატრიოტები განსაკუთრებით წარმატებით ავითარებენ შეტევას დედაქალაქის სამხრეთის მიმართულებით.

მათ ხელთ იგდეს და კონტროლს უწევენ მდინარე მეკონგის სამხრეთ ნაპირზე გაშავალი პნომპენის სამხრეთ-აღმოსავლეთი 20 კილომეტრზე № 1 სტრატეგიული გზის 21 კილომეტრიან მონაკვეთს. განთავისუფლების ძალების რაზმებმა მტკიცედ მოიკიდეს აგრეთვე ფეხი პრეკნეაკლუონგის სამდინარო ნავსადგურის უშუალო სიახლოვეს (პნომპენის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 45 კილომეტრზე). ახლი პოზიციები პატრიოტებს საშუალებას აძლევენ თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ მდინარე მეკონგის იმ გემების ქარავანთა მიმოსვლა, რომლებსაც დედაქალაქში საომარი მასალებისა და სურსათის დიდი ნაწილი მიაქვთ.

ადგილობრივი სამხედრო მეთვალყურეების აზრით, პატრიოტები სულ უფრო აძლიერებენ ლონ ნოლის რეჟიმის კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიის დანარჩენი ნაწილისგან დედაქალაქის იზოლაციას, გარნიზონს, რომელიც პნომპენის ჩიკავს, „დიდ საფრთხეს“ უქმნიან.

ერთობლივი სხდომა

ბეირუთი, 9 იანვარი. (საკდესი). აქ გაიმართა საგარეო საქმეთა და თავდაცვის საკითხთა საპარლამენტო კომიხიების ერთობლივი სხდომა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარლამენტის თავმჯდომარე კ. ალ-ასაადი, პრემიერ-მინისტრი რ. სოლჰი, საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. ტეკლა, თავდაცვის მინისტრი ქ. ალ-ყადი.

ნიას საინფორმაციო ცენტრის ცნობით, სხდომაზე განიხილეს ლიბანის სამხრეთში შექმნილი მდგომარეობა ისრაელის განუწყვეტელ პროვოკაციებთან დაკავშირებით და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საკითხები.

ნაოსნოგა განახლდება

კაირო, 9 იანვარი. (საკდესი). მოკავშირეები ჩაძირული გემებისაგან სუეცის არხის გაწმენდის სამუშაოები, განაცხადა სუეცის არხის ადმინისტრაციის გამგეობის თავმჯდომარემ და დირექტორმა მაშიურ ამმედ მაშიურმა. მან გამოთქვა რწმენა, რომ საერთაშორისო ნოსნობა არხში განახლდება მიმდინარე წლის შუა რიცხვებში.

საკდესი და უცხოეთის ქრესის საქაგენტოები იტყობინებიან

ამბები • ფაქტები

ინგლისი

უმუშევართა რაოდენობა დღითიდღე იზრდება

ჩილე

ხუნტის ოფიცრები პედაგოგების ნაცვლად

შეთანხმდნენ მოლაპარაკებაზე

ნიკოზია, 8 იანვარი. (საკდესის კორ.). კვიპროსის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე გ. კლირიდისი და კუნძულის თურქთა თემის ხელმძღვანელი რ. დენქტაში დღეს აქ გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ დაიწყებენ მოლაპარაკებას არსებითად კვიპროსის პრობლემაზე.

კომუნიკეში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა გაავრცელა, ნათქვამია, რომ გ. კლირიდისი და რ. დენქტაში მუშაობას დაიწყებენ „ფედერალურ სახელმწიფოში ცენტრალური მთავრობის უფლებამოსილებისა და ფუნქციების“ განხილვით.

კომუნიკეში აღნიშნულია აგრეთვე, რომ გ. კლირიდისი და რ. დენქტაში შეთანხმდნენ ასევე განავრძონ მოლაპარაკება საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია“ ორი თემის მოსახლეობის ბედისათვის 1974 წლის ამბების შედეგებთან.

კვიპროსის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში დაბეჯითებით გამოთქვამენ აზრს, რომ საჭიროა მკვეთრი შემობრუნება ორი თემის ურთიერთობაში, რომლებსაც შეუძლიათ და უნდა იცხოვრონ კიდეც მშვიდობიანად. ამისათვის, კერძოდ, უნდა შეწყდეს კულისებს მიღმა მანევრები და ცდები, კვიპროსის საკითხი გადაწყვიტონ ნატოს ვიზრა წრეში.



არჩევნები დანიაში

კოპენჰაგენი, 9 იანვარი. (საკდესის კორ.). დღეს დანიაში დაიწყო პარლამენტის ვადამდელი არჩევნები. ფოლკეტინგში 179 ადგილისათვის იბრძვის 11 პოლიტიკური პარტია. 20-ზე მეტი კანდიდატი გამოდის პარტიული სიების გარეშე.

არჩევნები მიმდინარეობს სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისების პირობებში. მთელი 1974 წლის განმავლობაში აქ განუხრელად იზრდებოდა ფასები და უმუშევრობა.

სიძვირის ზრდის ტემპით — 18 პროცენტი 1974 წლის განმავლობაში — დანიას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია დასავლეთ ევროპაში.

გასული წლის დეკემბრის დამდეგს ფოლკეტინგმა უარი თქვა მოეწონებინა ეკონომიურ სიძნელეთა დაძლევის პროგრამა, რომელიც მთავრობამ შეეტანა. სწორედ ეს იყო პარლამენტის დათხოვნისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მიზეზი.

პროგრამა ითვალისწინებს ეკონომიური პრობლემების მოწესრიგებას ძირითადად მშრომელთა ხარჯზე: მის შესაბამისად იყინება მშრომელთა ხელფასი და უქმდება დანამატების სისტემა ფასების ზრდასთან დაკავშირებით.

მხარს უჭერენ სამართლიან ბრძოლას

ი. არაფატის ინტერვიუ

ბეირუთი, 9 იანვარი. (საკდესი). პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ იასირ არაფატმა მადალი შეფასება მისცა დახმარებას, რომელსაც საბჭოთა კავშირის მეთაურობით სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები უწევენ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობას.

ბეირუთის ყოველკვირეულ „ალ-ბალიაგისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ი. არაფატმა აღნიშნა, რომ სოციალისტური ქვეყნები მუდმივად უჭერდნენ და უჭერენ მხარს პალესტინის არაბი ხალხის სამართლიან ბრძოლას თავიანთი კანონიერი ეროვნული უფლებებისათვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობისა და სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის განვითარება და განმტკიცება შეესაბამება პალესტინელი ხალხის ინტერესებს.

ი. არაფატმა განაცხადა, რომ სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე პალესტინის რევოლუციის ხელშემწყობი არაბული ფრონტის მხარდაჭერის მეთხებით, რომელიც ერთიანებს ორაბეთის სახელმწიფოთა პროგრესულ პატრიოტულ ძალებს, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ გასულ წელს შეძლო მოეპოვებინა დიდი წარმატებანი როგორც არაბეთის სახელმწიფოთა შორის, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

ხუნტის თვითნებობა

ბუენოს-აირესი, 9 იანვარი. (საკდესი). ჩილეში გრძელდება ფაშისტური ხუნტისათვის არასასურველი პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის „წმენდა“ და მისი შეცვლა ხელისუფალთა მიერ დანიშნული ოფიცრებით. როგორც აღნიშნულია განათლების მუშაკთა ერთიანი პროფკავშირის განცხადებაში, რომელიც სანტიაგოში გამოაქვეყნეს, შარშან ათი ათასზე მეტმა მასწავლებელმა დაკარგა სამუშაო პოლიტიკური მოტივებით, ბევრი მათგანი დაამწყვდიეს საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც მათ განუწყვეტლივ შეურაცხყოფას აყენებენ. წამების შედეგად სერიოზულად დაავადდა ყოფილი სენატორი, ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ქალბატონი ცნობილი პედაგოგი ხორხე მონტესი, რომელიც დიდ ძალ-ღონეს ახმარდა ჩილეს განათლების განვითარებას.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ათობით მასწავლებელმა ვერ გაუძლო ტანჯვა-წამებას და ფაშისტურ დილეგებში დაიღუპა.

გაფიცვები კაპიტალის ქვეყნებში

იაპონია

მასობრივი და ხანგრძლივი გაფიცვები იქნება იაპონელ მშრომელთა მთავარი იარაღი 1975 წლის საგაზაფხულო ბრძოლაში თავიანთი საარსებო ინტერესების დასაცავად.

თუ მეწარმენი არ დაიმაყოფილებენ პროფკავშირთა მოთხოვნებს, აპრილის შუა რიცხვებში გამოცხადდება საყოველთაო უვადო გაფიცვა. ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღეს დეკემბერში ტოკიოში გამართულ იაპონელ მშრომელთა ერთობლივი საგაზაფხულო ბრძოლის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე. ამ კომიტეტში შედიან ქვეყნის ყველა პროფგაერთიანებანი, რომელთა წევრების საერთო რაოდენობა 8,5 მილიონს აღწევს. 1975 წელს საგაზაფხულო ბრძოლის პირველი გამოსვლების დაწყება დაგეგმილია იანვრის შუა რიცხვებისათვის.

ამასთან ძირეული პროფორგანიზაციები მთელ იაპონიაში მართავენ მიტინგებსა და კრებებს კომიტეტის მიერ შემუშავებული კურსის მხარდასაჭერად.

სურათზე: ხახელმწიფო დაწესებულებათა პროფკავშირების მიტინგის მონაწილენი.

საკდესის ფოტო.

გაფიცვა

ერთობლივი ბრძოლა

ბანგლადეში: ვერას გახდება

26 დეკემბერს კუშტიის დასავლეთ ოლქის დაბა კუშარკანში მოკლეს ბანგლადეშის პარლამენტის წევრი მუარუფელი პარიტის — სახალხო ლიგისაგან ბოლამ კიბრია. ეს უკვე მეხუთე პარლამენტარია, რომელიც ტერორისტთა თავდასხმის შედეგად დაიღუპა. მკვლელობა მოხდა დღისით, ეზისით ცვხტრალურ მოედანზე, როცა იქ ქალაქის მთელი მოსახლეობა რელიგიურ დღესასწაულს აღნიშნავდა. ამავე დღეს ამ ოლქში ტერორისტთა ხუხეერული გახდნენ ორი მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეები. მკვლელებს არ ესახელებენ, მაგრამ უამისოდაც ცხადია, რომ ეს მკვლელობა ექსტრემისტების ჩადენილია, რომლებმაც ტერორი აირჩიეს თავრობის ყინაღმდეგ საბრძოლველად, რადგან იგი ადგას სოციალ-ეკონომიური გარდაქმნებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების პოლიტიკას.

მას შემდეგ, რაც 1971 წლის დამლევს ბანგლადეშის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, შემარჯვეე და ექმარცხენე ტერორისტებმა მოკლეს 20 ათასამდე კაცი. მათ შორის სასალხო ლიგის, სახალხო ერთიანობის ფრონტში შემავალი კომუნისტური და ეროვნული სახალხო პარტიების ბევრი მოღვაწე.

რეაქციის ძირგამოთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით 28 დეკემბერს ბანგლადეშში შემოიღეს საგანგებო წესები. პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად ქვეყანაში შეჩერებულია კონსტიტუციის მთელი რიგი მუხლების მოქმედება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ჯარის ნაწილებს დაეკისრა. საგანგებო წესების აუცილებლობის დასაბუთებისას შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ქვეყანაში კვლავ მოქმედებენ ძალები, რომლებიც თავის დროზე პაკისტანის არმიასთან ერთად ცდილობდნენ ჩაეხშოთ ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

ეს ელემენტები უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტებთან ერთად მოქმედებენ. მათ შექმნეს შეუწყნარებელი ვითარება, ხელს უშლიან პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციასა და ნორმალურ ეკონომიურ განვითარებას, მიმართავენ ტერორს და ხოცავენ სახელმწიფო მოსამსახურეებსა და პატრიოტ საზოგადო მოღვაწეებს“.



საერთაშორისო შენიშვნები

ახლა სახელმწიფოს ხელშია თავმოყრილი წარმოების საშუალებათა 85 პროცენტი მრეწველობაში, მთელი მსხვილი ტრანსპორტი, ბანკების 90 პროცენტი.

დადგენილია მიწათმოფლობელობის მაქსიმალური ოდენობა — 13,4 ჰექტარი. ზედმეტი მიწა უფასოდ ნაწილდება უმიწო გლეხებს შორის და გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო ფასების მატება, კორუფცია ადმინისტრაციულ აპარატში, განახორციელოს ეკონომიკის ეფექტიანი მართვა.

ახალი, დემოკრატიული წყობილების მტრებმა ისარგებლეს ამ სიძნელეებით და აქტიური ძიგამომთხრელი საქმიანობა გააჩაღეს, განსაკუთრებით უკანასკნელ ხახს, მუჯიბურ რაჰმანის თავრობის წინააღმდეგ. ისინი მოქმედებენ პრინციპით „რაც უარესია ქვეყნისათვის, მით უკეთესია ჩვენთვის“. ამ ლუზუნგით ხელმძღვანელობდნენ მთელი ოპოზიციური ძალები — მემამულეებითა და ნაციონალიზებულ საწარმოთა ყოფილი მფლობელებით დაწყებული და სპეკულანტებითა და კონტრაბანდისტებით, მაოისტური და სხვადასხვა ცრუმემარცხენული ჯგუფებებით დამთავრებული.

მკვლელობასთან ერთად მათი უმნიშვნელოვანესი მეთოდი გახდა ეკონომიური საბოტაჟი. ახლანდელი რეჟიმის მოწინააღმდეგენი აწყობდნენ ხანძრებს ფაბრიკებსა და საწყობებში, სადაც ინახება ჯუთი — რესპუბლიკის ძირითადი საექსპორტო საქონელი. შარშან აღრიცხული იყო 11 ასეთი ხანძარი. ამის შედეგად ბანგლადეშის ეკონომიკამ დიდი ზარალი განიცადა — 150 მილიონი ტაკა. სექტემბერში ძლიერმა აფეთქებამ მწყობრიდან გამოიყვანა გორუანის უდიდესი სასუქების ქარხანა. სპეკულაციამ და კონტრაბანდამ ეროვნული უბედურების სასიათი მიიღო ქვეყანაში, რომელიც სურსათისა და უმნიშვნელოვანესი საქონლეწველო საქონლის ქრონიკულ ნაკლებობას განიცდის. მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით მთავრობა იძულებულია ყოველწლიურად შემოიტანოს 2-3 მილიონ ტონა მარცვლეული. მის მნიშვნელოვან ნაწილს იპარავენ.

15 დეკემბერს რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა მუჯიბურ რაჰმანმა ხაზი გაუსვა, რომ ხალხისა და სახელმწიფოს უბოროტესი მტრები არიან კონტრაბანდისტები, სპეკულანტები, შავი ბაზრის საქმოსნები, მექრთამეები. მან თქვა, რომ მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები იქნება მიღებული.

პროპეკინურმა ჯგუფებამ ბაშანი-რაზომ და ცრუმემარცხენულმა ეროვნულმა სოციალისტურმა ბარტიამ კამპანია დაიწყეს მთავრობის დამხობისათვის. მათ მიეხმარნენ სხვა ცრუმემარცხენული ტერორისტული ჯგუფები. ფარულ დივერსიებთან და მკვლელობებთან ერთად ისინი ღვარძლიან პროპაგანდას ეწეოდნენ მეზობელი ინდოეთის წინააღმდეგ, სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, ცდილობდნენ მოეწყვიტათ ბანგლადეში ნაცადი მეგობრებისათვის და დაებრუნებინათ იმპერიალისტური და მაოისტური გავლენის ორბიტაში. ამ ჯგუფების ნაწილი საზღვარგარეთიდან იღებს ფულად სახსრებსა და ინსტრუქციებს.

საგანგებო წესების შემოღებამ თითქოს ცივი წყალი გადაასხა დემოკრატიული რესპუბლიკის მტრებს. ქვეყნის მოსახლეობა კი დიდი შვებითა და მოწონებით შეხვდა ამ ღონისძიებას. „ბანგლადეშის მთავრობას ახლა შესაძლებლობა აქვს გაანადგუროს ყველა, ვინც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა ერის ინტერესების წინააღმდეგ, — წერს მოწინავე სტატიაში ბანგლადეშის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ეკოტა“. — ხალხი ნოელის, რომ მთავრობა მიიღებს საგანგებო უფლებებს და განახორციელებს გადამწყვეტ ღონისძიებებს მისთვის საძულველი ძალების — სპეკულანტების, კონტრაბანდისტების, მექრთამეების, სხვადასხვა ჯურის ექსტრემისტების, მაოისტებისა და ყოფილი პაკისტანელი აგენტების წინააღმდეგ, უზრუნველყოფს მის მშვიდობიან ცხოვრებას, გაუმჯობესებს ეკონომიურ მდგომარეობას“.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

კრიტიკოსის ნაამზრევი

ბოლო დროს, განსაკუთრებით ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ, მომრავლდა კრიტიკული ნაშრომი ლიტერატურა, გაფართოვდა მისი პრობლემატიკა, გამდიდრდა გამოსახვითი საშუალებათა არსენალი. იგი უფრო სერიოზულიც გახდა და საინტერესოც, მეცნიერულად სანდო და ესთეტიკური თვალსაზრისით ფაქიზი, ორიგინალური, ღრმად ჩაძვრომი. მოკლედ, კრიტიკა ახალი პორიზონტების წინაშე დგას, ამ სფეროში მეტი გასაქანი ეძლევა აზრსა და ფანტაზიას, განსჯასა და გზნებას, ანალიზსა და სინთეზს.

ჩვენ აქ საერთო დონეზე, მიმართულებასა და ძირითად ტენდენციებზე ვლაპარაკობთ, თორემ როგორც ყოველთვის, ახლაც კვლავ იწერება არა მარტო კარგი, არამედ ცუდი კრიტიკული სტატიებიც, თვით კრიტიკული წიგნებიც. მაგრამ, საბედნიეროდ, ამ უკანასკნელთა ხვედრითი წონა სულ უფრო კლებულობს, ვიწროვდება ზეგრეულ გამოსვლების რკალი; მშრალი სოციოლოგიური სქემები იშვიათობად, ანაკრონიზმად იქცევა, პროფესიონალიზმი გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს.

კარგა ხანია კრიტიკოსთა ოჯახში აქტიურად იღვწის გივი ვარდოსანიძე. მისი ლიტერატურული კონცეფცია მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დასაბუთებულია, მწერალთა აუდიტორიასა და პრესაში ხშირად გამოთქვამს საკუთარ თვალსაზრისს ლიტერატურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, ახალ, ბნიშვნელოვან მხატვრულ ქმნილებებზე. დაკვირვებული, მცოდნე და ობიექტური, სიმართლის დამცველი ლიტერატორის სახელის მოხვეჭა ძალიან ძნელია. გივი ვარდოსანიძეს სწორედ ასეთად იცნობენ.

თუ შეიძლება ვილაპარაკოთ პოეტის, ბელეტრისტისა და სხვათა ოსტატობის სიმწიფეზე, რატომ არა ვეკითხეთ ეს ცნება კრიტიკოსის სახელთანაც დავაკავშიროთ? ვფიქრობთ, ამით არაფერი დაშავდება. პირიქით! უცილობლად ასეთი აზრი აღეძვრის კაცს, როდესაც ბატონ ვარდოსანიძის „წერილების“ კრებულს (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“) გაეცნობა. კრიტიკოსის თვალთახედვა და ხელწერა ორგანულ მთლიანობად გვევლინება. ეს დაახლოებით ისეთივეა, რაც მხატვრულ ნაწარმოებში შინაარსისა და ფორმის სრული შესაბამისობა. მსჯელობის, საუბრის ხასიათი ამ წერილებში ყოველთვის სერიოზულია, მაგრამ არა კატეგორიული. ავტორის ტონი ეს ხშირ შემთხვევაში რამდენადმე განაზოგრავს მისი პროდუქციისადმი დამოკიდებულებას, ლიტერატურული ნაშრომის რეზონანსს.

ლიტერატურული წერილების აღნიშნული კრებული ცხადყოფს მათი ავტორის ინტერესთა მრავალმხრიობასა და შემოქმედებითი განზრახვების სირთულეს. წიგნში, როგორც ეტყვიან, ერთმანეთის გვერდით „სახლობენ“ თეორიულ-პრობლემური სტატიები, პოლემიკა, პორტრეტები, კონკრეტული, ოპერატიული კრიტიკის ნიმუშები. თეორიულ წერილებში („მწერლის სიცოცხლე“, „პროპორციები“ თუ პოზიცია?!“, „სინამდვილე და მხატვრული ნარკვევი“), უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს დებულებათა სიზუსტე, სოციალისტური რეალიზმის მწერლობის, ლიტერატურისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი კარდინალური საკითხის სწორი დაყენება და გაშუქება. ამას მით უფრო უნდა გავუსვამ ხაზი, რომ კრიტიკოსთა საკმაო ნაწილი იფარგლება კონკრეტული მოვლენების შეფასებით და ნაკლებ ინტერესს იჩენს ლიტერატურის თეორიის მიმდინარე საკითხების დამუშავებისადმი. ოღონდ აქვე დავსძენდით, რომ ყველა ეს წერილი როდია თანაბარი ღირებულებისა და ჩვენის საუკეთესო ტრიბუნის რიცხვს არ მიეკუთვნება. კერძოდ, „სინამდვილე და მხატვრული ნარკვევი“ ზოგადი ჩანს, დაფუძნებული არ არის ეროვნული ნარკვევებისათვის დამახასიათებელი მაგალითების ანალიზზე.

კრიტიკის ეაწრის ანოლოგია შეიძლება გვეწოდებინა ჩვენი ავტორის ვრცელი ნარკვევებისათვის, რომლებშიც უხვად არის მგზნებარე გატაცებაც, ფხიერი განსჯაც, ირონიაც და, რაც მთავარია, ობიექტიური საშუალებების ძიებაც, რათა ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა სრულფასოვანი თანაბარუფლებიანი ეაწრის გვარცხლბეკზე იდგეს, მის ღირსებას არაფერი ბლალავდეს. რა თქმა უნდა, კრიტიკის ავტორიტეტს ამაღლება ყველაზე მეტად თვით კრიტიკოსებზეა დამოკიდებული, მათს განსწავლულობაზე, ღრმა თეორიულ-ესთეტიკურ მომზადებაზე, მხატვრული ქსოვილის ცოცხალ შეგრძნებაზე, მოუსყიდველ პრინციპულობასა და ტაქტზე, მწერლობის უსაზღვრო სიყვარულზე, იმის უნარზე, რომ ჭეშმარიტი თრთოლვით შეეხოს თანამოკალმის გამარჯვებამ. „კრიტიკა თანამგზავრი არ არის, არ არის ჩამქრალი პლანეტა, რომელიც სხვისგან იღებს შუქს. კრიტიკას აქვს თავისი დიდი სიცოცხლე, თავისი სამყარო, თავისი სიმთო და სინათლე, რომელსაც გამოსცემს, გამოაშუქებს“, — შენიშნავს ავტორი და აქ ის ცამდე მართალია. მაგრამ ეს იდეალია, სათაც უნდა ვეცადოთ, რასაც რეალურნი აღწევენ. ჯერჯერობით კი ჩვენს კრიტიკულ მეურნეობაში ბევრი რამ ისე არ არის, როგორც საჭიროა. და გივი ვარდოსანიძე გულისტკივილით, მაგრამ თამამად, მიუკიბავ-მოუკიბავად შეგვახსენებს, რომელი კრიტიკოსი სად, რაში შეცდა, შეგვახსენებს იმას, რომ სადაც იდეური, სოციალური, ცხოვრებასთან დაკავშირებული კრიტიკა არ არის, იქ [illegible] ფსევდოლიტერატურული [illegible] ბატონობაა; მაგრამ [illegible] დროს, [illegible] — [illegible] ნიუანსების განმეორება არა გვაქვს, იქ. საუკეთესო შემთხვევაში, ლაპარაკი შეიძლება იყოს ლიტერატურასთან შორიახლოს მყოფ პუბლიცისტიკასთან, მწერლობის ქრესტომათიულ გაწმარტება-პოპულარიზაციასთან.

გივი ვარდოსანიძის წერილების ღირსებას ზრდის კრიტიკული შენიშვნების საგნობრიობა, რომელთა უმეტესი ნაწილი პირადად ჩვენ დასაბუთებულად მიგვაჩნია. მართალია, მასში გვხვდება დაახლოებით ერთგვარი ადგილები, თითქმის აზრობრივ-სიტყვიერი განმეორებაც (ისინი ზომ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ნარკვევებია და არა ერთი გამოკვლევის ნაწილები!), მაგრამ ამით ავტორის თვალსაზრისი თანმიმდევრულად და გამოკვეთილად არის გადმოცემული.

წიგნში ორი წერილი ეძღვნება საბავშვო მწერლობასა და ლიტერატურულ ახალგაზრდობას. ერთ-ერთ მათგანში, საკითხთა ფართო წრიდან გამორჩევით არის ლაპარაკი თანამედროვე ზღაპარზე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ინვენტარისა და ტრადიციული ზღაპრული ატრიბუტების მიმართების პრობლემაზე. სტატია თავის დროზე ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნდა.

ლიტერატურული პორტრეტის შექმნას დიდი ოსტატობა სჭირდება. ყველას რიდი შესწევს საამისო ძალ-ღონე, ზოგიც ბიოგრაფიულ ნარკვევს ათანაბრებს მასთან. გივი ვარდოსანიძე ოსტატობით, სიყვარულით ხატავს კოლიკარპე კაკაბაძის, სიმონ ჩიქოვანისა და ალიო მირცხულავის შემოქმედებითს სახეებს. ავტორი ახერხება საკმაოდ კარგად შეაწყვილოს ამ ცნობილ მწერლებზე ბევრი რამ ახალი ან ახლებურად გვითხრას, საცნაური გახადოს ბევრი ისევთა ახალი მომენტი, რომელიც მანამდე სპეციალური დაკვირვებისა და შესწავლის საგანი არ იყო. ამ მრავალ საგანგებო ყურადღების ღირსია ბუნების ფენომენის ღირებულების კვლევა-ძიება სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში. უნდა შევნიშნოთ, რომ ალიო მირცხულავას შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილში პოეტის ხელწერის ზოგიერთი არსებითი მხარე ნაწილობრივ გაუშიფრავი რჩება. სიმონ ჩიქოვანის პორტრეტიც ბევრად მოიგებდა, რომ მასში მხოლოდ გაკვრით კი არ იყოს ნახსენები ამ პოეტის მძაფრი მეტაფორული აზროვნება, არამედ შესაფერისად გამოვლენილიც და დახასიათებულიც.

ეს დიდი მოთხოვნებია, რაც წიგნის ავტორმა კრიტიკას წაუყენა, რა თქმა უნდა, მარტო სხვებისათვის კი არა, საკუთრად მისთვისაც არის საკმაოდ ბევრი და იგი არ ცდილობს გაექცეს მათ, ვალში დარჩეს, ეძიოს მცირე წინაღმდეგობათა, გაიოლების, ტვირთის შემსუბუქების გზა. პირიქით. და ეს იქიდანაც ჩანს, რომ მისი უკანასკნელი დროის ნარკვევებს კრიტიკული „მარგი ქმედების კოეფიციენტი“ თვალდათვალ მატულობს. ამა წაიკითხეთ „რწმენა და ერუდიცია“, „რა გვაღელვებს, რა გვაფიქრებს“ (პირველი ოთარ ჭელიძის ცნობილ პოემას „ჩემ მაგნიტურ არეს“ ეხება, ხოლო მეორე — ნოდარ დუმბაძის რომანებს) და დარწმუნდებით, რომ ახალი ნაწარმოების პირველშემფასებლის როლი კრიტიკოსმა წარმატებით შეასრულა. მან ზუსტად ამოიცნო განსახილველ ნაწარმოებთა არსებითი იდეურ-მხატვრული თავისებურებები, კარგად შეახანა ერთმანეთთან ფართო პლანით განხილვა და დეტალიზაცია, ფსიქოლოგიურ მდგომარეობანა გამოწვევილი ფსიქოლოგიურ ფენომენ. წერილების სტილიც სანიმუშოა: ერთსა და იმავე დროს სადა, გამჭვირვალე და არტისტული, ღრმაზრიანიც და პოეტურიც. განა ხელოვნების ნაწარმოების შესახებ წერა სხვაგვარად, განსეკუთრებით, დამტამული ფრაზებით შეიძლება? ყველაზე მეტად, ეეონებ, ამ ორ პრინციპულ სტატიაშია გამომჟღავნებული ავტორის შემოქმედებითი ძალა, მისი სახე როგორც მებრძოლი, მართალი კრიტიკოსისა, რომელსაც არა მარტო კარგად ესმის მხატვრული ორგანიზმის სუნთქვა და მაჯისცემა, არამედ გულის სიღრმემდე უყვარს ხალხისა და ერის სულიერი საწყაო — ლიტერატურა.

წიგნის ღირსებებზე კიდევ შეიძლება ბევრი რამ ითქვას. ცხადია, ნაკლოვანებებიც მოიძებნება. მთავარი ის არის, რომ გივი ვარდოსანიძე თავის „წერილებში“ სწორი, პარტიული თვალსაზრისით, იდეურ-თეორიული სიღრმით და მხატვრულ-ესთეტიკური მიმზიდველობით, ხელოვნის ეაჭველი გემოვნებით აფასებს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, წვენი მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებსა და ავტორებს, მასვილ პუბლიცისტურ, მოქალაქეობრივ პათოსს აერთებს მხატვრული ქსოვილის უშუალო ხილვასთან. ორიგინალურად აყენებს პრობლემებს, ქმნის ბაზასა და ნიადაგს შემოქმედებითი აზრის განვითარებისათვის და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კრიტიკული აზროვნების ახალი პორიზონტების დაპყრობაში.

ფასო გაიაძე.

მწერლები მკითხველებთან

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). კულტურის სახლში მიეწყო ქართველი მწერლების შეხვედრა მკითხველებთან. ორჯონიკიძელთა სტუმრები იყვნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი თ. ბუაჩიძე, ნ. დუმბაძე, ჯ. ჩარკვიანი, მ. ლებანიძე, ლ. მოლასშვილი, ელ. მაღრაძე.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. დუდარიანმა. სტუმრებს მიესალმნენ პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი ნ. ლომსაძე, გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ თანამშრომელი ლ. ბარათაშვილი, ფარცხისალის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ი. ბუაჩიძე, რაიონული გაზეთის

საქართველოს ფეხბურთი

ახალი ფოსტიდან

მკითხველმა წერილი გამოგზავნა

● **თეთრი წყარო.** საბჭოთა მეურნეობის მშრომელთათვის მოეწყო სემინარი თემაზე „წელსაც — შრომა დამკვრელური“.

პირუტყვის კვების რაციონის, საკვების მომზადების, სანიტარული პირველი საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსის მოადგილე ძ. პოპოვი. მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე დამსწრეთა ესაუბრნენ რაიკომის პირველი მდივანი ა. გონაშვილი, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ძ. კალატოზიშვილი. საკუთარი კუშაობის გამოცდილების შესახებ ილაპარაკეს მეცხოველეობის № 1 ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. კობაიძემ, № 2 ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. კმანშიხამ, მწველებმა ა. ბექაურმა, ვ. ზატლვამ, ნ. ფიოდოროვამ.

ბ. მაისურაძე.

● **თელავი.** ნაყოფიერი, შინაარსიანი და საინტერესო ღონისძიებები აორგანიზებდა კონდოლის სასოფლო კლუბში (გამგე რ. ესიტაშვილი). ამ დღეებში მოეწყო ახალგაზრდობის საღამო თემაზე — „ახალგაზრდობა და ჩვენი ამოცანები“. მოხსენებით გამოვიდა კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე ვ. ყავლაშვილი.

სიტყვები წარმოთქვეს მოწინავე კოლმეურნე ახალგაზრდებმა დ. ამოსაშვილმა, ჰ. ოთარაშვილმა, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. ლეშაკელმა, მასწავლებელმა ვ. ახალაურმა.

დასასრულ ახალგაზრდების ძალებით გაიმართა კონცერტი.

ბ. მურადოვი.

● **ახალციხე.** სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მოეწყო კითხვა-პასუხის საღამო თემაზე: „მეცნიერების მიღწევები მშრომელებს“. ეკონომიური ხასიათის საკითხების გარდა, შემოსული შეკითხვები ეხებოდა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის და სხვა დარგების საკითხებს.

კითხვებზე პასუხი გასცეს საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორებმა — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ხოსტატიშვილმა, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ნებიერიძემ, ახალციხის ბალნეოლოგიური კურორტის დირექტორმა კ. მათეოსიანმა, ახალციხის ჭადრაკის კლუბის გამგემ ვ. დათუბაშვილმა, ტექნიკუმის დირექტორმა ნ. ბეგიშვილმა, მასწავლებლებმა რ. ხმალაძემ, ც. ინდუაშვილმა, ბ. უთიაშვილმა.

ზ. ივანიძე.

● **ზესტაფონი.** რაიონის კინოქსელის (დირექტორი ვ. ფერაძე) კოლექტივმა ვადამდე, ჯერ კიდევ პირველი დეკემბრისათვის გაანაღდა მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის ვალდებულება. 104,8 პროცენტით შეასრულა საფინანსო გეგმა.

განსაკუთრებით ისახელა თავი სოფლის კინოქსელმა (ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. შველიძე).

ზესტაფონელი კინოფიკატორები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ შეინარჩუნონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო წითელი დროშა.

პ. ნებიერიძე.

შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ

ჩვენი იურიდიული პოსტალიონი

შეკითხვა: დედას აქვს თუ არა უფლება მოითხოვოს იმ შვილის სარჩენი ალიმენტი, რომელიც ამ შეეძინა ფაქტიური საქორწინო ურთიერთობის შედეგად?

მ. იასონაპა,
ფოთი.

პასუხი: დაუქორწინებელ პირთა შვილის მამის ვინაობა შეიძლება დადგენილი იქნას ორივე პირის ერთობლივი განცხადებით, რომელიც შეაქვთ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების იმაწყერ ბიუროში.

მამობელთა ერთობლივი განცხადების უქონლობის შემთხვევაში დედას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ბავშვის მამის ვინაობის დადგენის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში დადგინდა, რომ მშობლები ერთად ცხოვრობდნენ, საერთო საოჯახო მეურნეობას ეწეოდნენ ან ზრუნავდნენ ბავშვის აღზრდასა და რჩენაზე, სასამართლო დედის მიერ მითითებულ პიროვნობს ბავშვის მამად და მას დააკისრებს ბავშვის სარჩენ ალიმენტის გადახდევინებას.

შეკითხვა: თბილისის „ცენტროლიტის“ ქარხნის საუწყებო სახლიდან დასაშვებია თუ არა იმ პირის გამოსახლება, რომელიც „მუშაოდან გათავისუფლებულია პირადი განცხადებით“?

ა. დოროეული,
თბილისი.

პასუხი: თბილისის „ცენტროლიტის“ ქარხანა მიეკუთვნება იმ უმნიშვნელოვანეს საწარმოებს, რომელთა საუწყებო სახლებიდან დასაშვებია იმ პირის გამოსახლება, რომელმაც ბინა მიიღო ქარხნიდან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე და შემდეგ სამუშაოდან გათავისუფლებულია პირადი განცხადების საფუძველზე.

შეკითხვა: მუშა-მოსამსახურე ქალებს დეკრეტული შვებულების დამთავრების შემდეგ ეკუთვნით თუ არა ფასიანი შვებულება?

ტ. დაღელავშვილი,
გორი.

პასუხი: ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების გარდა ქალს მისი თხოვნით ეძლევა დამატებითი უხელფასო შვებულება, ვიდრე ბავშვს შეუსრულდებოდეს ერთი წელი. უხელფასო შვებულების განმავლობაში ქალს ეძახება სამუშაო ადგილი (თანამდებობა).

შეკითხვა: მოქალაქეს, რომელიც ერთ წელზე მეტია არ ცხოვრობს ბინაში, ჩამოერთმევა თუ არა საცხოვრებელი ბინა?

ს. ქავთარაძე,
თბილისი.

პასუხი: საცხოვრებელი ბინის დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები, რომლებიც მუდმივ საცხოვრებლად გადავიდნენ სხვა დასახლებულ პუნქტში (ქალაქი, დაბა, სოფელი) უფლებას კარგავენ ბინაზე-ფასიანი ღირდან, მიუხედავად იმისა, ისინი ამოწერილი არიან თუ არა საბინაო წიგნიდან. დამქირავებელს და მისი ოჯახის წევრებს, რომლებიც დროებით არიან წასული, საცხოვრებელ ბინაზე უფლება უნარჩუნდებათ ექვსი თვის განმავლობაში გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

შეკითხვა: ბინის ქირის განაკვეთის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება თუ არა მცირეწლოვანი შვილი, რომელსაც მამაც უხდის ალიმენტს და ცხოვრობს დედასთან სხვა ქალაქში?

გ. ბაძაღელიძე,
თბილისი.

პასუხი: საცხოვრებელი ბინის ქირის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება ოჯახის წევრები (მეუღლე, შვილები, მშობლები), რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საცხოვრებელი ბინის დამქირავებელთან.

შეკითხვა: შვილს, რომელიც მუდმივად მუშაობს სხვა ქალაქში, უფლება აქვს თუ არა მემკვიდრეობის წესით მიიღოს გარდაცვლილი მამის საცხოვრებელი სახლი?

ნ. ქამკამიძე,
თერჯოლა.

პასუხი: შვილს უფლება აქვს მემკვიდრეობის წესით მიიღოს გარდაცვლილი მამის საცხოვრებელი სახლი, თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. ამასთან შვილს, რომელიც ფაქტიურად ფლობს და სარგებლობს გარდაცვლილი მამის საცხოვრებელი სახლით, უფლება აქვს ყოველ დროს გაიფორმოს მემკვიდრეობის უფლება. ხოლო შვილს, რომელიც არ ფლობს და არ სარგებლობს სახლით, შეუძლია ექვსი თვის ვადაში გაიფორმოს მემკვიდრეობის უფლება. ამ ვადის პატივსადები მიზეზების გამო გადაცილების შემთხვევებშიც დასაშვებია მემკვიდრეობის უფლების გაფორმება.

ახალი სასტუმრო



გალელებმა ენგურჰესის მშენებლებისაგან კარგი საახალწლო საჩუქარი მიიღეს. მწყობრშია სამმართველიანი სასტუმრო 58 ადგილით. რომელიც ქალაქის ულამაზეს კუთხეში — დიდ ბულვარზეა აშენებული. სასტუმროს ყველა ნომერში დადგმულია რადიორეპროდუქტორი, გაყვანილია ცენტრალური გათბობა. **სურათზე:** სასტუმროს ახალი შენობა.

ი. გამსახურდიას ტექსტი. ი. ჭოხონელიძის ფოტო.

3. სანეევი ევროპაში საუკეთესო

ბრატისლავა, 8 იანვარი. (საკუთარი კორ.). საბჭოთა სპორტსმენი ვიქტორ სანეევი ევროპის 1974 წლის საუკეთესო სპორტსმენია. ასეთია „ბრატისლავის“ ტრადიციული სპორტული ანკეტის შედეგი. გამოკითხვაში მონაწილეობდა 27 ქვეყნის მძღოლნობის 236 სპეციალისტი.

თბილისელი მძღოლსანი ვიქტორ სანეევი, რომელსაც გასული წლის ოქტომბერში 29 წელი შეუსრულდა, უკვე დიდი ხანია საბჭოთაში მსოფლიო რეკორდის „ბატონ-პატრონია“. ეს რეკორდი მან 17 მეტრსა და 44 სანტიმეტრამდე გაზარდა. ვიქტორ სანეევს ეკუთვნის ოგრეთვე მსოფლიოში საუკეთესო შედეგი 1974 წლის სეზონში — 17 მეტრი და 23 სანტიმეტრი. პრაქტიკულად თითქმის ყოველ შეჯიბრებაში ვიქტორ სანეევი აუმჯობესებს „დიდოსტატურ“ 17-მეტრიან ბიჯნას. ვიქტორი მეხიკოსა და მიუნხენის ოლიმპიადების ჩემპიონია, თენის (1969 წ.) და რომის (1974 წ.) ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულია.

სურათზე: ვიქტორ სანეევი სამხტომში. (საკადსის ფოტოქრონიკა).

რამდენიმე სტრიქონით

კალათბურთი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მატჩში ლენინგრადის „სპარტაკის“ კალათბურთელებმა თავის მოედანზე დაამარცხეს იტალიის „ვირტუს სინუდინე“ (ბოლონია) — 93:70 (47:37). საპასუხო შეხვედრა გაიმართება 15 იანვარს ბოლონიაში.

სვერდლოვსკის „ურალმაშმა“ უმაღლესი ლიგის ეაკთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის გამეორებით მატჩში თავის მოედანზე რვეგანში ალიო ვილნიუსის „სტატიბასთან“ — 96:89.

ჰავრანი. გუშინ ვილნიუსში მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებაზე ეეხუთე ტურში მაია ჩიბურდახიძემ მოუგო ნ. ხახაროვას (თურქმენეთი), ნანა იოსელიანმა დაამარცხა ა. პეინი (რსფსრ), ქეთინო ძელაშვილმა ყაინი გააკეთა ი. შოროხოვასთან (მოსკოვი), ხოლო ნინო გურიელმა უკეთეს პოზიციაში ცაიტნოტში წააგო ხ. რუჩიოვასთან (უკრაინა).

ინგლისის ქალაქ ჰასტინგსში ტრადიციულ საახალწლო ტურნირზე უკვე გაიმართა 10 ტური. შეჯიბრებას ლიდერობს ჩეხოსლოვაკიელი პორტი — 7 ქულა. საბჭოთა მოჭადრაკეებს ბელიავსკისა და ვაპანიანს ექვსი-ექვსი ქულა აქვთ. ტურნირის დამთავრებამდე 5 ტური რჩება.

მძლეოსნობა. ლენინგრადში ზამთრის სტადიონზე გამართულ ქალაქის უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ნაჩვენები იქნა მთელი რიგი მაღალი შედეგები: საკავშირო ნაკრების წევრმა ალექსანდრე აკსენინმა 60 მეტრი გაირბინა 6,4 წამში, რითაც მსოფლიოს რეკორდი გაამეორა და ამასთან მსოფლიოს მიმდინარე წლის საუკეთესო შედეგი აჩვენა დარბაზებისათვის. ჩვენი ქვეყნის „ზამთრის“ რეკორდსმენმა ვალერი ეოკანმა ბირთვის კვრაში აჩვენა 19.69 მეტრი, ხოლო ელენე კოროგლო